იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 15 ივნისი 2026 წელი

ერთის მხრივ, **შპს „რადა“**, (ს/კ:202899863, მისამართი: საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.№83/23) (შემდგომში „მეიჯარე“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ხვედელიძე, (პ/ნ 01027010788) ,სახით და

მეორეს მხრივ, **შპს ოცნების სამყარო** (ს/კ 404915623, მისამართი: თბილისი დ. აღმაშენებელის ხეივანი N19) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჩხიკავძის (პ/ნ01001024648) სახით, (შემდგომში „მოიჯარე“),

„მეჯარე“ და “მოიჯარე” შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც “მხარეები”, ხოლო ცალ-ცალკე როგორც “მხარე” ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში “ხელშეკრულება”) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების” საგანი**

1.1. „ხელშეკრულების“ საფუძველზე, „მეიჯარე“ „მოიჯარეს“ დროებით სარგებლობაში გადასცემს, მის საკუთრებაში არსებულ კომერციული ფართს (შემდგომში “იჯარის საგანი”).

1.2. „იჯარის საგნის“ მონაცემები (შემდგომში “იჯარის საგანი”)

- **მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.№83/23;**
- **საკადასტროკოდი: 01.16.05.003.020.01.538, არასაცხოვრებელი ფართი N1, საერთო ფართი 85.46 კვ.მ , (მხარეთა შეთანხმებით რეალური ფართის ოდენობა ნახევარ სართულის გათვალისწინებით შეადგენს - 110.46კვ.მ);**
- **მფლობელი/მესაკუთრე: შპს „რადა“ ს/კ202899863.**

1.3. საიჯარო ქონება გამოყენებული უნდა იქნეს **კომერციული ობიექტის „ჭიტას“ ბრენდის სავაჭრო ფილიალის** მოწყობის მიზნით, ამავე დროს მხარეები აღნიშნავენ, რომ საიჯარო ქონება არის სარემონტო (მათ შორის მოაწყოს საიჯარო ფართის გათბობა-კონდიცირების სისტემა, სამღებრო სამუშაოები, იატაკის მოპირკეთება, სველი წერტილი, მოაპირკეთოს გარე და შიდა კედლები მოიჯარის სავაჭრო ბრენდის „ჭიტას“ ფილიალის სტანდარტების შესაბამისად).

1.4. საიჯარო ფართი მოიჯარეს გადაეცემა წინამდებარე იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრიის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის თანავე.

1.5. „იჯარის საგანი“ უფლებრივად არის უნაკლო. მეიჯარეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული და მინიჭებული აქვთ ყველა სახის უფლება/ნებართვა/თანმობა „იჯარის საგნით“ („უძრავი ქონების“) სარგებლობა და განკარგვისთვის და მის მიერ „მოიჯარესთვის“ გაცემული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი.

2. **საიჯარო ქონების გადაცემის და დაბრუნების პირობები**

2.1 საიჯარო ქონება მოიჯარესათვის გადაცემულად ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

2.2 მოიჯარე აცხადებს, რომ საიჯარო ქონების უფლებრივი და ნივთობრივი მდგომარეობა სრულად შეესაბამება მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს და პრეტენზია არ გააჩნია.

2.3 საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში საიჯარო ქონება მოიჯარემ უნდა დააბრუნოს/დათმოს ფაქტობრივად იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

2.4 საიჯარო ქონების დაბრუნება უნდა მოხდეს ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში, ბრალეული დაზიანების გარეშე ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით. საიჯარო ქონება მეიჯარეს უბრუნდება მოიჯარის მიერ განხორციელებული გაუმჯობესებების (ასეთის არსებობის შემთვევაში) გათვალისწინებით რაიმე სახის დამატებითი კომპენსაციის ანაზღაურების გარეშე.

2.5 მხარეთა შეთანხმებით, მეიჯარე იძლევა უაქცეპტო გამოუხმობ თანხმობას და მოიჯარეს უფლება ააქვს, იჯარის ობიექტზე მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე, შეასრულოს მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, განათავსოს სარეკლამო აბრები, საჩრდილობელი, კონდიციონერების გარე და შიდა აგრეგატები, განათავსოს ბანკომატი ან/და სწრაფი გადახდის აპარატი და სხვა საჭირო ინვენტარი და

დანადგარები, არქიტექტურული დეტალები, ასევე უზურნველყოს უფლებამოსილი ორგანოებისაგან შესაბამისი ნებართვების მოპოვება.

3. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები**

3.1. **„ხელშეკრულება“ ძალაში შედის 2026 წლის 01 ივლისიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით, 2031 წლის 01 ივლისის ჩათვლით.**

3.2. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

3.2.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

3.2.2 რომელიმე მხარის ცალმხრივი ინიციატივით შეწყვეტამდე **30 (ოცდაათი) კალენდარული დღით** ადრე გაგზავნილი წერილობით შეატყობინების მიწოდების გზით, თუ მეორე მხარე არაერთგზის დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან/და გადააცილებს ვალდებულებების შესრულების ვადას.

3.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.3. "ხელშეკრულების" შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ "ხელშეკრულების" შეწყვეტამდე არსებული შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 მუხლით განსაზღვრული ვადის გასვლამდე 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე, მოიჯარეს აქვს უფლება ისარგებლოს უპირატესად საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების პირობით, მეიჯარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე, შესთავაზოს მოიჯარეს ამ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება ან ახალი საიჯარო ხელშეკრულების დადება ახალი პირობებით, თუ შეთავაზებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მეიჯარე მოიჯარისაგან არ მიიღებს თანხმობას შეთავაზებულ წინადადებაზე, მაშინ მეიჯარეს აქვს უფლება გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება სხვა პირთან.

4. **"საიჯარო ქირა" და ანგარიშსწორების წესი**

4.1. **მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ფართის იჯარასთან დაკავშირებული ქირა 2026 წლის 01 ივლისიდან 2026 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდზე 4 (ოთხი) თვის განმავლობაში განისაზღვროს 2600 (ორი ათას ექვსასი) აშშ დოლარის ოდენობით დ.ღ.გ-ს ჩათვლით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსის შესაბამისად ლარში.**

4.2. **მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული ფართის იჯარასთან დაკავშირებული ყოველთვიური ქირა 2026 წლის 01 ნოემბრიდან 2031 წლის 01 ივლისის ჩათვლით განისაზღვროს 5200 (ხუთი ათას ორასი) აშშ დოლარის ოდენობით დ.ღ.გ-ს ჩათვლით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსის შესაბამისად ლარში.**

4.3. **მხარეთა შეთანხმებით, ამ ხელშეკრულების 4.1. და 4.2. მუხლებით დადგენილი საიჯარო ქირა არ გადაიხედება ამ ხელშეკრულების მოქმედების სრულ პერიოდზე.**

4.4. **საიჯარო ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული კურსით.**

4.5. **მხარეები დამატებით თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოიჯარე მეიჯარეს გადაუხდის 2 (ორი) თვის 2026 წლის ივლისის და აგვისტოს საიჯარო ქირას ჯამში 5200 (ხუთი ათას ორასი) აშშ დოლარის ოდენობით დ.ღ.გ-ს ჩათვლით, გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსის შესაბამისად ლარში.**

4.6. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს უნაღდო ფორმით მეიჯარის საბანკო ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4.7. „საიჯარო ქირა“ არ მოიცავს „მოიჯარის“ მიერ იჯარის საგანში მოხმარებული კომუნალური (ელექტროენერგია-დასუფთავება აბონენტის N3366903, GWP წყალი აბონენტის N751078643) მომსახურების გადასახადებს, რომელიც მოიჯარემ უნდა გადაიხადოს დამოუკიდებლად და რომელთა მოიჯარის სახელზე რეგისტარაციაზე მეიჯარე აცხადებს თანხმობას.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. **მოიჯარე ვალდებულია:**

5.1.1. უზრუნველყოს „ქირის“დროულად და სრულად გადახდა;

5.1.2. დაიცვას ყველა საყოფაცხოვრებო და ხანძარსაწინააღმდეგო წესი, განახორციელოს „იჯარის საგნის“ მოვლა-პატრონობა, ჰქონდეს იგი სრულ წესრიგში.

5.1.3. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „იჯარის საგნის“ დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად.

5.1.4. თავად გადაიხადოს საიჯარო ფართის სარგებლობისას წარმოშობილი ყველა საყოფაცხოვრებო (კომუნალური) გადასახდელი ან/და მოსაკრებელი (ელექტროენერგია, წყალი, გაზი, ინტერნეტი, ტელევიზია და სხვ.);

5.1.5. დაიცვას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ დადგენილი შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოს შენობის უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

5.1.6. დროულად შეატყობინოს მეიჯარეს ყველა ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მოიჯარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

5.1.7. არ დაუშვას საიჯარო ქონების გადაკეთება და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების წარმოება მეიჯარეებთან შეთანხმების გარეშე.

5.2. მოიჯარე უფლებამოსილია:

5.2.1. მოიჯარე უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი ხარჯით განახორციელოს კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები, ხოლო კაპიტალური სარემონტო სამუშაოები აწარმოოს მხოლოდ მეიჯარესთან შეთანხმებით.

5.2.2. გამოიყენოს“ იჯარის საგანი” „ხელშეკრულებით” განსაზღვრული მიზნებისათვის და კანონით დადგენილ ფარგლებში.

5.2.3. „ხელშეკრულების“ მოქმედების დასრულების ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მოხსნას და დაიბრუნოს „იჯარის საგანში“ მის („მოიჯარის“/”მოსარგებლის“) მიერ განთავსებული მოძრავი (გამოცალკევებადი) ნივთები/ინვენტარი, რომელთა განცალკევება შესაძლებელი იქნება საიჯარო ქონებისათვის ზიანის მიყენების გარეშე;

5.3. მეიჯარე ვალდებულია:

5.3.1. გადასცეს “მოიჯარეს” “იჯარის საგანი” “ხელშეკრულების” ხელმოწერის დღიდან და ხელი არ შეუშალოს მოიჯარეს “იჯარის საგნით” სარგებლობაში.

5.3.2. არ ჩაერიოს “მოიჯარის” საქმიანობაში და “იჯარის საგნის” გამოყენებაში.

5.3.3.“იჯარის საგნის“ ნებისმიერი ფორმით განკარგვის შემთხვევაში აცნობოს მოიჯარეს ამის შესახებ;

5.4. მეიჯარე უფლებამოსილია:

5.4.1. გამოიყენოს “ხელშეკრულებითა” და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

5.4.2. „მეიჯარე” უფლებამოსილია მოითხოვოს “საიჯარო ქირის” დროულად გადახდა “ხელშეკრულების” დებულებათა შესაბამისად.

5.4.3. „მეიჯარე” უფლებამოსილია პერიოდულად მოახდინოს “იჯარის საგნის” დათვალიერება, ამის შესახებ “მოიჯარის” წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე.

5.4.4. მოიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს საიჯარო ქონება იმ პირობით, რომ შემძენი გახდება საიჯარო ურთიერთობის მონაწილე და შემძენზე სრულად გავრცელდება წინამდებრე ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პირობა.

6. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

6.1. მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანი. ამავდროულად, ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებთ მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება მისი მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება, რაც დამრღვევ მხარეს ეცნობება წერილობით;

6.3. თითოეული მხარე უფლებამოსილია, მეორე მხარეს მოსთხოვოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება;

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, მუშაკთა უკმარისობა, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

7.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები შემდგომში უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს შესაბამისი დასკვნით.

7.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო.

8. დავები, მარეგულირებელი კანონმდებლობა და კონფიდენციალურობა

8.1. მხარეებს შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულებით მიღებული, ასევე საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე მათთვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დაუშვებელია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა). წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს აღნიშნული ქმედებით მიყენებული ზიანი.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც შესაძლოა გაეგზავნოს მხარეს, უნდა გაიგზავნოს მხარეთათვის ცნობილ მისამართზე მატერიალურად ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონულად ან ჩაბარდეს პირადად ხელზე.

9.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას.

9.3. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ''ხელშეკრულების'' შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება ''ხელშეკრულების''

სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) "ხელშეკრულების" შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება)რაიმე მნიშვნელობა.

9.4. „ხელშეკრულების" მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

9.5. „ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, "მხარეთა" შეთანხმებით;

9.6. "ხელშეკრულება" ძალაში შედის "მხარეთა" მიერ „ხელშეკრულებაზე" ხელმოწერის დღიდან.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ ამ "ხელშეკრულების" რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას; ხელშეკრულება", მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა" შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით.

9.8. მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.9. "ხელშეკრულება" დადებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომლის ორი ეგზემპლარი გადაეცემა "მეიჯარეს", ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "მოიჯარეს", ხოლო ერთი ეგზემპლარი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მეიჯარე	მოიჯარე
შპს რადა **ს/კ 202899863** **მის: თბილისი დ. აღმაშენებელის გამზირი №83/23** ბანკი: ს.ს. თიბისი ბანკი ანგ. ნომერი: GE22TB7921236080100004 ელ. ფოსტა: natiakacg@yahoo.com მობ: 577415953 **დირექტორი,** **ნიკოლოზ ხვედელიძე, (პ/ნ 01027010788)** ----------	**შპს ოცნების სამყარო** **ს/კ 404915623,** **მის: თბილისი დ. აღმაშენებელის ხეივანი N19** ბანკი: სს თიბისი ბანკი ანგ. ნომერი: GE10TB7317736020100005 ელ. ფოსტა: Kh.chkhikvadze@chita.ge მობ: 577506061 **დირექტორი,** **ხათუნა ჩხიკვაძე (პ/ნ 01001024648)** ----------